ახალციხის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2011** წლის **10** თებერვლის ბრძანება **№3** საფუძველზე.

2012 წელი
ქ. ახალციხე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება----------3გვ.

2. ტექნიკური დავალება ----------5გვ.

3. ხელშეკრულების პროექტი----------7გვ.

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ახალციხის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია: ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზემო და ქვემო სხვილის სასოფლო-სამეურნეო მიწების სარწყავი სისტემის გარე ელექტრო მომარაგების სქემაში ცვლილებების შესატანი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.
3. <u>შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი.</u>
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (0Twww.procurement.gov.ge).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-4 და მე -5 მუხლებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება და პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

   შენიშვნა: დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.
9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2012 წლის 25 აპრილიდან,** მისამართი: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2 ახალციხის მუნიციალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება: 2012 წლის 04 მაისის 15:00 საათზე. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

- საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
- ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად ა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

- საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

12. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს :

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს გათვალისწინებით, თუ კონკურსანტი არის დღგ-ს გადამხდელი) ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო წინადადების ფასში სრულიად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები;
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, ნახაზები, განმარტებითი ბარათი.

13. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზემო და ქვემო სხვილისის სასოფლო-სამეურნეო მიწების სარწყავი სისტემის გარე ელექტრო მომარაგების სქემაში ცვლილებების შესატანი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები: მისამართი (იურიდიული და ფაქტობრივი), ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; აღნიშნული დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს "კონკურსის გამოცხადების" ეტაპის დაწყების შემდეგ.

14. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული საკონკურსო წინადადება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა:
კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტრიუმს წარმოადგენს პროექტი:

- პროექტი: კოეფიციენტი- 0.7
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი- 0.3
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

17. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდა ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდელისათვის 4 ეგზემპლიარად და CD დისკით.

19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ტერიტორიის ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

21. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობის ხარჯები.

23. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
საკონკურსო კომისიის წევრი:
მაკა სამსონიძე: ტელ: 595 95 50 51 samsonidzemaka@yahoo.com

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზემო და ქვემო სხვილის სასოფლო-სამეურნეო მიწების სარწყავი სისტემის გარე ელექტრო მომარაგების სქემაში ცვლილებების შესატანი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს სს „ ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გაცემული ტექნიკური პირობების გათვალისწინებით (ტექნიკური პირობა თან ერთვის საკონკურსო დოკუმენტაციას).

- წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებული უნდა იქნას სს „ ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან.
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ალბომის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF ფაილის სახით.
- პროექტის სამუშაო ვერსია - დაარქივებული Aarchicad_ის ან autocad_ის ფაილების სახით.
- სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;
- გამარჯვებული კონკურსანტი 25 (ოცდახუთ) კალენდარულ დღეში წარმოადგენს სრულ პროექტს.

საკონკურსო მასალის წარმოდგენის ფორმა:

1. განმარტებითი ბარათი;
2. ტოპოსაძიებო მასალა (გეგმა,პროფილი);
3. სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბით;
4. სამუშაობის მოცულობათა უწყისი;
5. მასალების სპეციფიკაცია,
6. გარე ელექტრომომერაგების სქემის ნახაზები;
7. სამუშაოების შესრულების გრაფიკი;
8. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
9. ტექნიკური დავალება;
10. სს „ ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2.
- საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.
- იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს ანაზღაურების გარეშე.
- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
მალხაზ გიქოშვილი
ქ.ახალციხე, შ. ახალციხელის ქ.№2
ს/კ 224086352

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

ქ. ახალციხე — 2012 წელი

ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მალხაზ გიქოშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, ————————––– (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ——–––————— სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზემო და ქვემო სხვილის სასოფლო-სამეურნეო მიწების სარწყავი სისტემის გარე ელექტრო მომარაგების სქემაში ცვლილებების შესატანი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საკონკურსო წესით შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა_____ლარი.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხარეთა ვალდებულობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება 4 ეგზემპლიარად და CD დისკით შემდეგ მისამართზე ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2
ბ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები შემსყიდველის დაკვეთით.
ასევე განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველუყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულობები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განახორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლ ები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

5.4 თუ ამ მუხლის 5.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორების შეუძლებელებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდებაწერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.

6.3 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე თუ არ არის შენიშვნები. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელს მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად და მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შენიშვნების აღმოფხვრის შემდეგ.

6.4 მომსახურების მიღებას აწარმოებს ინსპექტირების ჯგუფი.

6.5 შესყიდვის ობიექტი მიღებულად და მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება ჩაბარება მოხდება ერთ ეტაპად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული გაწეული მომსახურების დასტურად და გრაფიკის შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტაა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდ ებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელდების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებ ის პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 და 6.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვეტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის ---------- ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდ ები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს -მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია
წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას
ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს -მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე , ხუთ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი ოთხი რჩება შემსყიდველს.

17. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები
და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი ორგანიზაცია:**

ახალციხის მუნიციპალიტეტი:

საკრებულოს თავმჯდომარე

მალხაზ გიქოშვილი

ENERGO-PRO

ENERGO-PRO GEORGIA
1 Sandro Euli street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
სანდრო ეულის ქ. 1
0186 თბილისი, საქართველო

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ გელა დემეტრაძეს

ასლი: სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს
სამხრეთ საქართველოს ფილიალის დირექტორს
ბატონ გელა კუპატაძეს

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზემო და ქვემო სხვილისის სასოფლო–სამეურნეო მიწების სარწყავი სისტემა „ფარეხა“–ს გარე ელექტრომომარაგების სქემაში ცვლილების შეტანის შესახებ

თქვენი 2012 წლის 2 მარტის №206/3 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ არ არის წინაარმდეგი თქვენი კუთვნილი ობიექტის (დაკომპლექტებული 6 kV ძაბვის 2X500 kW სიმძლავრის ელექტროძრავით და 6/0.4 kV ძაბვის 180 kVA სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგურით) გარე ელექტრომომარაგება განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. ჩაიხსნას ობიექტის მკვებავი, დაზიანებული 35/6–2500 kVA ქვესადგურის მიერთება ქ/ს „ახალციხე 110“–დან გამავალი ე.გ.ხ „საძელი 1“–დან;
2. ობიექტი განშტოებით მიუერთდეს ქ/ს „ორჯანა 110“–ს 6 kV ძაბვის სექციის სახაზო უჯრედიდან გამავალ ე.გ.ხ „სამსხვრევი“–ს;
3. განშტოების მიერთების ადგილი, მისი სიგრძე, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი, აგრეთვე საყრდენების ტიპი დაზუსტდეს პროექტირების დროს.
4. განშტოების ტრასა (მიწისქვეშა და მიწისზედა) შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
5. ხილული გათიშვისათვის 6 kV ძაბვის არსებულ ქსელთან განშტოების მიერთების ადგილას დაიდგას სახაზო გამთიშველი.
7. გადამეტძაბვისაგან დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნას გადამეტძაბვის შემზღუდველები, რომლის მოწყობის ადგილი და ტიპი დაზუსტდეს პროექტირების დროს.

Fax: 243-34-29 | E-mail: info@energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | სარ. კოდი: 205169066

8. რეაქტიული ენერგიის კომპენსირებისათვის პროექტით განისაზღვროს აუცილებელი ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ cosφ=0,95–1 ფარგლებში.

9. ობიექტზე გათვალისწინებული უნდა იყოს სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ქსელზე მომხმარებლის ქსელის უკუგავლენისაგან კომპენსირება.

10. მიმდებარე ქსელი შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე; საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები, რომლის მოცულობა შეთანხმდეს სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს სამხრეთ საქართველოს ფილიალის ტექნიკურ სამსახურთან.

11. ობიექტისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხის ამაღლებისთვის 6 kV ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ „სამსხვრევი"–ზე ქ/ს „ორჯანა 110"–დან ათვლილ 17 (ჩვიდმეტი) მალში შეიცვალოს არსებული 35 მმ² კვეთის ელექტროსადენი არანაკლებ 70 მმ² კვეთის სადენით; ე.გ.ხ–ს აღნიშნულ მონაკვეთზე ჩატარდეს საყრდენებისა და სახაზო არმატურის მდგომარეობის რევიზია, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ხაზის მექანიკური ნაწილის (საყრდენები, სახაზო არმატურა) შესაბამისობაში მოყვანა ე.გ.ხ–ს კვეთთან. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა შეტანილ იქნას პროექტში და შეთანხმდეს სს „ენერგო–პრო ჯორჯია"–თან.

12. მიმდებარე ქსელში გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში.

13. ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვა მოეწყოს საბალანსო კუთვნილების გაყოფის წერტილში – 6 kV ძაბვის ე.გ.ხაზის განშტოების მოწყობის ადგილზე.

ამასთანავე:

13.1. გამოყენებულ იქნას აქტიურ-რეაქტიული ელექტროენერგიის ცალმიმართულებიანი, 3-ელემენტიანი სამფაზა, ელექტრონული მრიცხველი შემდეგი მახასიათებლებით: U_N=57/100V; I_N=1(5)A; სიზუსტის კლასი – არანაკლებ 1.0; მთვლელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი, დატვირთვის გრაფიკის წარმოების, ქსელის პარამეტრების შენახვის ფუნქციით; მონაცემთა გადაცემის ციფრული ინტერფეისით (RS-485 გამომყვანით); მოდემით; მრიცხველი უნდა იყოს თავსებადი ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის "ელსტერ მეტრონიკ"-ის პროგრამასთან;

– მრიცხველები უნდა იყოს შეტანილი საქართველოში მოქმედ "გამზომი ხელსაწყოების რეესტრი"-ში და უნდა ჰქონდეს "საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"-ს ლუქები და დამოწმების მოწმობა;

– დენური და ძაბვის წრედები უნდა იყოს განმხოლოებული და მათი შუალედური მომჭერები უნდა იძლეოდეს მათი დალუქვის საშუალებას, ასევე დენური წრედების მომჭერები უნდა იძლეოდეს დენების დამოკლების საშუალებას;

13.2. დენის ტრანსფორმატორები:

– დაიდგას ყველა ფაზაში;

– გამოყენებულ იქნეს დენის ტრანსფორმატორები დატვირთვის/მოკლე შერთვის დენების შესაბამისი ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და 0.5 სიზუსტის კლასის მქონე გრაგნილით;

– მეორადი გამზომი გრაგნილის გამომყვანებს უნდა ჰქონდეს ხუფები დალუქვისათვის;

– ნომინალური მეორადი დენის მნიშვნელობა უნდა ემთხვეოდეს მრიცხველის ნომინალური დენის მნიშვნელობებს;

– უნდა ჰქონდეს მოქმედი პირველადი (ქარხნული) ან პერიოდული დამოწმების მოწმობა;

13.3. ძაბვის ტრანსფორმატორები:

– გამოყენებულ იქნეს სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი, ან ჯგუფი სამი ცალფაზა ძაბვის ტრანსფორმატორისგან;

– გამთიშველების ამძრავის სახელურებზე გათვალისწინებულ იქნეს დალუქვის შესაძლებლობა;

– უნდა ჰქონდეს მოქმედი პირველადი (ქარხნული) ან პერიოდული დამოწმების მოწმობა;

13.4. აღრიცხვის კვანძები მოწყობილ იქნეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის გათვალისწინებით.

13.5. აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით.

14. სრულად იქნეს დაცული "ელექტროდანადგარების მოწყობის წესები"-ს, "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები"-სა და "უსაფრთხოების ტექნიკის წესები"-ს მოთხოვნები.

15. შემუშავებული პროექტი შესათანხმებლად წარედგინოს სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ პროექტის შეთანხმების შემდეგ.

16. ყველა სამუშაო შესრულდეს დამკვეთის ხარჯზე.

17. ობიექტის სარეზერვო კვების ქსელთან მიერთება მოხდეს სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიმღები კომისიის მიერ ნებართვის გაცემის შემდეგ.

18. მფლობელი პასუხისმგებელია მის საკუთრებაში არსებული ელექტროდანადგარები და მოწყობილობები შეინარჩუნოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. არსებულ ქსელზე განშტოების მიერთებამდე მფლობელმა სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კომისიას უნდა წარუდგინოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მას შესწევს ელექტროგადამცემი ხაზისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურის ტექნიკური ექსპლუატაციის უნარი.

19. 6 kV ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი უნდა იყოს სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს სადისპეტჩერო სამსახურის ოპერატიულ მართვაში.

20. ტექნიკური პირობების მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი დღიდან მათი გაცემისა.

ზდენეკ ვესელი

განვითარების მენეჯერი

შემსრულებელი: ნათია ჭუნაშვილი